

የኢትዮጵያ የሚያስተካክለ ሰራተኞች

፩፭፻፯፮፯፳

მინისტერიდან (დიდი რომ იყო - 6 თუ 7 ბალი; თვითონ რომ არ იცოდნენ და სომხებმა რომ უთხრეს, ეპიცენტრი სადაც იყო) ორიოდე დღის შემდეგ, ტრადიციულად ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. მეგობარი იყო, დიდი ხნის უნახავი. ანდა, სად უნდა მენახა! ერთი წლის წინათ რომ წავიდა კანადაში, დღეს პირველად შემიჩნა.

ცეკვისი. აა, ხეი მიიციე? ", ვგურ-
რობ უყბილოდ. "ალისა ფრენიდლიხ-
თან ერთად ჩამოვიდა, რუსულ რო-
მანსებს მღეროდა." მერე ცოტა კი-
დევ ვაბოდიალეთ და ბოლოს შევ-
პირდი, მიეილით შეგეხმანები-თქო.
საუბრდან რამდენიმე დღის გან-
მავლობაში სულ მეგობარზე და კა-
ნადაზე ვფიქრობდი. საერთოდ, ასე-
თი ვარ - თუ მიზეზი არ მაქვს, ტელე-
ფონის ყურმილს ვერ ამაღებინებ. მაგრამ თუ ვინმემ თავი შემახსენა,
რაღაც ხანი მის მიმართ სენტიმეტ-
ტალური ვხდები ხოლმე. მეგობარზე
ვამბობ, თორემ კანადისადმი რა სენ-
ტიმენტები და ნოსტალგია უნდა
მქონდეს - არც ნამყოფი ვარ და
აქამდე არც ახლობელი მყავდა იქ.

Happy Birthday



የፌዴራል ማጭበብሪያ ቤትና ተከሳሽነት

କାନ୍ତପାଣି ସାମାଜିକ ବ୍ୟାଙ୍ଗକାରୀ ଏକାଡେମୀଯୁଲେଟିକ୍ ପାଠ୍ୟକ୍ଷେତ୍ର
„ଅନ୍ତି-ଗଲାପାଦିତ,“ ଉପାଧିକାରୀ



დიდი თეატრის ქართველი ვარსკვლავი.

ମାଧ୍ୟମ ପରିବହନିକାମତ୍ତ୍ୱ

ახალგაზრდობაში მას პრენტინგა-
ლე საფეხბურთო კარიერას უწინას-
ნარმეტყველებდნენ. ფეხბურთელო-
ბის რა გითხრობა, მაგრამ წინასწარ-
მეტყველება წანილობრივ მაინც ახ-
და: დიდებულ მასშტაბებს ზურაბ
სოტკილავამ ოპერის სფეროში მი-
აღწია. დიდი თეატრის ქართველი
სოლისტი კვლავ თბილისშია.

თბილის გენერალუროვნებად დადგებითა, ხოლო, მეორეს მხრივ - რადიკალურად უარყოფითმა გამოხმაურებებმა “არტ-იმედის” საქმიანობას ხელი ვერაფრით შეუშალა. პირიქით, იგი მაღლალი ხელოვნების სფეროშიც შეიჭრა: ამჯერად, არტ-იმედის სახელი - ზურაბ ბოტკილავას დაუკავშირდა.

მიუხედავად მისია, რომ სოტკილავას კარიერა ძირითადად მოსკოვის დიდ თეატრში წარიმართა, ქართველებისათვის ის მაინც ქართველ ვარსკვლავად რჩება და მომღერლის ინტერვიუებსაც თუ გადახედავთ, აქაც ძირითადად მისი ქართული მოგონებები დომინირებს.

ქართველი საოპერო ვარსკვლა-
ვის სამშობლოში სტუმრობას რამ-
დენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში -
ეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში
დაგეგმილი კონცერტია. აქ ზურაბ
სოტყილავას პარტიონორიბას საკმა-
ოდ ცნობილი მომღერლები: დიდი
თეატრის სოლისტი მეცო-სოპრანო
სვეტლანა ბელოკონი და კივესის თე-
ატრის სოლისტი, უკრაინის სახალხო
არტისტი, სოპრანო სვეტლანა დობ-
რონრავოვა გაუწევენ. გარდა სო-
ლისტების ბრწყინვალე შემადგენ-
ლობისა, კონცერტში სახელმწიფო
კაპელა და ტელერადიომაუწყებლო-
ბის ორკესტრიც მიიღებენ მონაწი-

ଭାବନାରେଖା

„მისი კვარი, ქართული მუსიკით დაშავრულ მსახიობს
აყენისათვას სთავაზობს

Georgian

მათი გაუჩინარება ცოცხალი
ქართული მუსიკიდან დროებითი
აღმოჩნდა. მუსიკოსებს არ უთქ-
ვამთ უარი საკუთარ ჯვარზე, რო-
მელიც თორმეტი წლის ნინათ ხა-
ლისით იტვირთეს. ჯგუფი “მძიმე
ჯვარი” სცენას მეტი ამბიციონა და
კიდევ უფრო დამძიმებული პასუ-
სისმებლობით უპრუნდება.

კუპილი აცემას და დაბრუნებულის და
ტკბილი მუსიკით დაშაქრულ ახალ-
გაზრდობას განსხვავებული მოასმე-
ნინონ.

“შძიმე ჯვარი” ერთ-ერთი გამო-
ნაკლიისა ქართულ როკ-ჯგუფებში
(განსაკუთრებით, მძიმე მუსიკის
ჟანრში), ვისაც დაარსების პირვე-
ლივე დღეებიდან არ შეუცვლია სა-
ხელნოდება და არჩეული მუსიკა-
ლური გეზი. ალბათ, ამ ფაქტორის

ნაირით, დევიდი კავშირის კულტურული ფილმის მსგავიდად გამომიყენანა უხერხული მდგრამარეობიდან ჯგუფის ამჟამინდელმა ზორონტმენმა. თავადლევან ბეიტრიშვილს რაც შეხება, იგი მსმენელს ქართულ სცენაზე მცირე ხნით გამოჩენილი საინტერესო ჯგუფიდან Passion Stage-დან უნდა ახსოვდეს. შარშან გარდაცვლილი ჯგუფის დრამერი, დათო ზიბზიბაძე Alexander Garden-ის მუსიკოსმა, დიტო ოგანესიანმა შეცვალა; “მძიმე ჯვარის” სოლო-გიტარისტი,

მასუე ჩიხლაძე კი, თითქმის ყველა ცნობილ როკ-ჯგუფში მოღვაწეობდა, მათ შორისაა: “ბიჭები როკ-ენ-როლიდან”, For sing Band, Helldrivers. მათ კი, ვინც სიტყვაზე არ მენდობა, ვურჩევ ჯგუფის ალბომს მოუსმინონ; კასეტის მოსმენა მათაც გამოადგებათ, ვისაც მძიმე როკის კულტურა მხოლოდ გიტარების გამაყრულებელი უდარუნი ჰგონია. ალბომი შეგნებულად მხოლოდ კასეტის სახით გამოიგდა. ის Sano Studio-ში გაკეთდა და საკმაოდ საინტერესოდაა შედგენილი: ა-მხარეს

„მძიმე ჰვარი“ სცენას დამძიმებული პასუხისმგებლობით უბრუნდება

TV პროგრამა

16 ივნისი

TV პროგრამის მასში მას დატებული ისებობა



სოსიეთ მერკვილაძის ნიგნის მაღაზია. 1903-1904 წ. ფოტო

მოსახლეობა

რა ნომერი მიზის ფილარმონიასთან?

მაყნეაზ ხარგებია

დღეს წიგნის ფესტივალი იხს-
ნება ფილარმონიაში, საერთაშო-
რისო და თანაც იოთხდლანი, რომე-
ლიც, მართალია, მასტერაბეჭით
ჯერ ვერ შეედრება ედინბურგის ან
ფრანკფურტის პაზრობებს, მავრამ
ქართველებისთვის ესეც საკმარი-
სია. ახალი გამოცემა, რომელიც ახ-
ლა ხელში გაიტინავთ, სწორედ ამ
დღეს დავამთხვიერთ და დღეიდან
იგი ყოველთვიურად გამოვა.

Իցի որպես անհաջող առաջարկ է համարվում այս գործությունը:

Իշխան առաջարկությունը պատճենաբար է առաջարկությունը:

Իշխան առաջարկությունը պատճենաբար է առաջարկությունը:

რა წავიკითხეთ გუშინ, რა კითხულობთ ახლა და რის წაკითხვაზე ვოცნებობთ? აი კითხვები, რომელებიც, ერთმანეთის თავისი ინტიმურობით გვაშინებენ, მეორე მხრივ კი რაღაც უფორმო, სწობურ საჯარო იბაში დაძირვას გვიქეადიან

କୋଣରେ ଫ୍ରାନ୍ତିକାରୀ ପାଦିଲୁଗର

ანუ რატომ უნდა აყურყუფო
ქართველი ბიზნესმენები კარცერ-ლუქსებში

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ფესტივალი? ნინამორბედზე გა-
ცილებით უკეთესი. შარმანდელ-
მა ბაზრობამ ნათლად დაგვანახა,
რომ საქართველოში წიგნის ბა-
ზარი არ არსებობს, რადგან არ
არის მისი აუცილებელი წინაპი-
რობა – კონკურენცია. ახალი გა-
მოცემები შარმან ბევრად აღმერა-
ტებოდა წინა წლების მაჩვენე-
ბელს, თუმცა არც მათი ხარისხი

၃။ ရောဂါရိ ပုဂ္ဂန်မြတ်

მოსახლეობა

რა ნომერი მიღის ფილარმონიასთან?

ესაა კითხვები, რომლებსაც ერთიდაიგივე ადამიანები (მაგალითისთვის, რომელიმე კლიმი) სხვადასხვა დროსა და ადგილას განსხვავებულად პასუხობს ხოლმე: თუკი ერთგან იგი თანამედროვე და მოდური ბალკანელი მწერლით მოიწონებს თავს, მეორეგან აუცილებლად თედო სახოკიას „მოგზაურობიდან“ გაარტყამს აბზაცს; თუკი ეს ჩვენი კლიმი სადმი პერიოდსკაია- უფრო მდოვრედ განვაგრძო, თუმცა, ვიდრე ტემპს შევანელებდე და ნერილის ფინალისკენ გადაუსხვევდე, კიდევ ერთ "წიგნით მოვაჭრე" მწერალს გაგახსენებთ, ლორენს ფერლინგვეტის, ვინაც ჯერ კიდევ 1953 წელს დაარსა "CITY LIGHTS BOOK-STORE" და ამით არსებითად გზა გაუსხსნა თავის მეგობარ ახალთაობელებს, ლეგენდარულ ბიტნიკებს.

ზე მურაკამისა თუ კორტასარის
ჯაზ-პროსოდიებით აბუზლუნ-
დება, იმავე საღამოს თავის რო-
მელიმე უფროსს მეგობარ ქალ-
თან განმარტოებული, უეჭვე-
ლად ჩაარკარაკებს ერთ
სტროფს არჩილის "სამიჯნუ-
რონიდან" (ვითომ?). ერთი
სიტყვით, ყველაფერი მკითხ-
ველზე დამოკიდებული, ზოგი
XIX საუკუნით აწონასწორებს
პავიჩით გატაცებას, ზოგი კი
აღორძინების ხანის ქართველი
პოეტებით აქრობს კორტასარის
კითხვით აგზნებულ ბოპ-ხან-
ძარს.

* * *

მაშ ასე, ვსაუბრობთ მწერ-
ლებზე და მათ გატაცებებზე, ანუ
მწერალთა საყვარელ მწერლებზე
(მომიტევეთ ტავტოლოგია)
და, ცხადია, პირველ რიგში ბორ-
ხესი უნდა გავიხსენოთ, რომელ-
მაც არამხოლოდ თავის შესახებ,
არამედ ბებიამისის, მამამისის,
დის, ცოლისა თუ მეგობრების
ბიბლიოთილური ახირებების შე-
სახებაც შემოგვინახა ცნობები.
მაგალითად, როცა ბებიამისი, ინ-
გლისელი ფანი ჰეიზლემი მო-
ხუდა, მისი გულის მოსაგებად
ხალხი (ალბათ ძირითადად შეი-

თუმცა ერთი რამ ნათელია, ორივე შემთხვევაში თავის გაცემა ხდება, ორივეგან ნარცისულ აქტთანა გვაქვს საქმე და ამიტომ, მეც შევეცდები უფრო მეტი სხვების შესახებ მოგითხროთ. არ გეტყვით, თუ რას ვკითხულობ და ან რა წაიკითხო ამ ორიოდე დღის წინ, ვიცი, ჩემი ახლანდელი საკითხავით მაინც ვერ გაგიტაცებთ და გადავწყვიტე იმათ შესახებ მოგიყვეთ, ვინც ოდესალაც ვერ დამალა ეს თავისი გატაცებები.

ჩემხელა რომ იყო (ოცდაშვი-
დი წლისა), ჰერმან ჰერსეს უკვე
ლამის ყველაფერი ჰქონდა ნა-
კითხული, ტიუბინგენერ წიგნით
მოვაჭრესთან, ჰეკენპაუერთა-
ნაც ემუშავა რამდენიმე წელი
(სადაც მერიკეს, ჰოლდერლინსა
და ნოვალისს აჩერებდა მყიდ-
ველს) და პირველი ყმანვილური
იმედგაცრუებებიც განეცადა.
ისე კი, იგი ყველაფერს გატაცე-
ბით კითხულობდა, სტერნსა და
ჰომეროსს, დიენსსა და ოეოგნი-
დეს, გრიმელსპაუზენსა და მა-
ჰაპპარატას, წიგნს არ ტოვებდა
არც ბუკინისტებთან და არც სხვა
მაღაზიებში და, ამიტომ, ყოველ
წელს იძულებული იყო გრანდიო-
ზული წმენდები მოენყო ხოლმე
თავის ბიბლიოთეკაში.

ყმანვილობისას ნიგნის მაღაზიაში მუშაობდა ჯორჯ იორუელიც, იგი თურმე ბიძლიოფაგივით ნოქავდა წიგნებს და თანამედროვების სიტყვით, დიკენს-სა და უელსს ჯოისსა და მილერში არ არჩევდა. მას "მოფერებით" "ძველმოდურ ექსცენტრიკოსს" უწოდებდნენ, რომელიც კომიქსებს უფრო სიხარულით კითხულობდა, ვიდრე ანდრე ჟიდის რომანებს. ახლა კი, რაც შეეხება ანდრე ჟიდს: იგი თავის თანამედროვეებს, უფროს მეგობრებს აღმერთებდა, მაღარმესა და ვალერის, თუმცა მოგვიანებით უიტმენითა და დოსტოევსკით გატაცებამ აქცია იგი "კაცად". თავად დოსტოევსკი მეთიურინით იყო გატაცებული, მეთიურინი კი..... უჰ, გავუტიე! ამიტომ, მოდით, თავს შევიაზაბ და შევიაზიბი!

რი მიზეზები აქვს. პირველ რიგში, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონო-მიკური მდგრამარება და ის პირო-ბები, რომელშიც ქართველი გამომ-ცემლები იმყოფებიან. საქართვე-ლოში დღეს არ არსებობს წიგნის სახელმწიფო პოლიტიკა. მაგალი-თისთვის, 1994 წელს რუსეთში მიი-ღეს წიგნის სახელმწიფო მხარდა-ჭერის ფედერალური პროგრამა, რომლის თანახმადაც საგამომცემ-ლო საქმიანობაზე გაუქმდა დამა-ტებითი ღრმულების გადასახა-დი, რედაქციებს ოფისები შედავა-თიანი პირობებით გადაეცათ, რა-ტიფიკაცია გაუკეთდა „ფლორენ-ციის შეთანხმებას“ და „შეთანხმე-ბის პროტოკოლს“ და ა.შ. შედეგად 2001 წელს რუსეთში გამოცემული წიგნების დასახელებების რაოდე-ნობამ 70 000-ს გადაჭარბა, საშუა-ლო ტირაჟმა კი 8000-ს მიაღწია (სა-ქართველოში დღეს მხოლოდ 1000-1200 წიგნი გამოიდის, საშუალო ტი-რაჟი კი 1000-ს არ აღემატება).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შარმანდელ ბაზრობაზე საკ-მაოდ მაღალი იყო წიგნების გა-

ეს ფოტო 2000 წელს თბილისის რიგნის მეორე ბაზრობაზეა გადაღებული




ეს ფოტო 2000 წელს თბილისის რიგნის მეორე ბაზრობაზეა გადაღებული

ხადებს, რომ მისი საყვა-
ლიტერატურული გმირი
აღმაშენებელია. ასეთ ვი-
ში ძალზე მნიშვნელოვანია
ს პოპულარიზაცია. აღსა-
აა, რომ მსგავსი პრობლე-
მის დროზე აშშ-ში, საფ-
ში, დიდ ბრიტანეთსა და
იაშივ გაჩნდა. მაშინ ამ
ისის მთავრობებმა შეიმუშა-
ნათ თლებლობასთან ბრძო-
აშტაბური პროგრამები სა-
„კითხვა“. ისინი ქვეყნის
ალური და რეგიონალური
ცენტრიდან ფინანსდებოდა და
ლება დღემდე არ მოკლე-
საც ვერ დავიტრაპახებთ
ვეკინის მაგალითზე. წიგნის
ვალი ამ თვალსაზრისით
მნიშვნელოვანია. რა სიახ-
ველის წალს? უპირველის

სიახლეები მრავლადაა. კიდევ
ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გვე-
ლის ნლევანდელ ფესტივალზე.
როგორც იწა, ოფიციალურმა
ხელისუფლებამ გაიაზრა ამ აქ-
ციის მნიშვნელობა. მის გახსნას
წელს პირველად დაესწრება სა-
ქართველოს პრეზიდენტი. და ბო-
ლოს, ერთი სამწუხაო პარალე-
ლი გასულ ფესტივალთან. წელ-
საც, ისევე როგორც შარშან, არ
მოიძებნა არც ერთი ქართველი,
რომელიც ამ აქციას ფინანსურად
მცირედი თანხით მაინც დაეხმა-
რებოდა. წიგნის ბაზრობას სა-
ქართველოში წელსაც უცხოური
ორგანიზაციები აფინანსებენ.
როგორც ჩანს, ქართველ ბიზნეს-
მენებს არ ანეჭნდათ ცოტა ხნით
დოჩანაშვილისეულ კარცერ-
ოუსებში ყურყატი.

„გვირაობინი”



ალექსანდრე გვარია

სტრიქონები: "მან სიამაყით გაი-ფიქრა, რომ ბაბუა ოჯახში მანც ბედავდა სიმართლის თქმას, კო-მუნისტების კრიტიკას, თუმცა არავისზე ნაკლებ არ ეშინოდა საბჭოთა რეჟიმის დაუნდობელი სისასტეებისა". ("ნაცრის კოშკები" ასახულია ხანა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სტალინის გარდაცვალებამდე).
გურამ გეგეშიძის ადრინდელი ისტორიული რომანების მსგავსად აქაც ვერ ხერხდება უთვალავ პერსონაჟთაგან ერთი ან რამდენიმე მთავარი გმირის გამოყოფა, ურიცხვ მოტივთაგან და სიუჟეტურ განშტოებათაგან ისეთის გამორჩევა, მთავარ მოტივს ან მთავარ სიუჟეტურ ხაზს რომ უწოდებდი. "ცნობიერების ნაკადის" ანალოგით და მის საპირისპირო შეიძლება ვთქვათ, რომ ამ და მღვრიე ნაკადი მოედინება. უამრავი ადამიანის თავგადასავალი, ზოგი შედარებით ვრცლად, ზოგიც სხარტად და ლაკონიურად მოთხოვობილი, ჩაივლის ჩვენს თვალწინ "ნაცრის კოშკების" კითხვისას. აյ არის თხრობა, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით: ნანახის, განცდილის, გაგონილის თხრობა, და ნაკლებად - თხზვა; უფრო, ამბები, ხშირად - ამაზრზენი, თავზარდამცემი, და ნაკლებად - ხასიათები; ბევრი და ხანგრძლივი ტანკვა-წვალება, ცოტა და ხანმოკლე სიხარული ("ცხოვრება სავსე იყო უკეთურებით", "მხოლოდ სიღარიბე და მოწყენილობა ითვლებოდა ნორმად").
ეს თავგადასავლები, ეს ამბები, რომელთა უმეტესობა დამოუკიდებელი ნოველებივთ იყითხება, ერთობლივად ეპოქის ლამის ნებ სწორედ ეპოქა იყოს "ნაცრის კოშკების" ერთადერთი პროტაგონისტი. ალბათ ეპოქის რაც შეიძლება მართალი სახის შექმნისკენ სწრაფებით აიხსნება ხალხში გავრცელებული ბანალური და ფრივლური ანეკდოტური ფაბულების გამოყენება მწერლის მიერ, რომლებც მევეთრ კონტრასტს ქმნიან იმ რაფინირებულ ტექსტებთან, რომანის არისტოკრატიული წარმოშობის პერსონაჟთა ბაგეთაგან რომ წარმოითქმის. (ამ დაპირისპირებულობას ავტორი შეტაფორულადაც წარმოაჩენს: "თამარა დეიდას წრისა და თაობის ადამიანები საგრძნობლად განირჩეოდნენ ირგვლივ ამოთავთავებული უმრავლესობისაგან, დღევანდელი ქართველი ხალხის ერთფეროვანი, უსახურ ყანად გაშლილი რომ მოსდებოდა მთასა და

ՀԱՐԴՎԵՐ ՀԱՅԱՍՏԱՆ, "6"

კოდკი (რომანი). რედაქტორი
მილიცა ჯაფარიძე, მხატვარი
გოგი წერეთელი. თბილისი. "მე
რანი". 2001.

გურამ გეგეშიძის "ნაცრილი კოშკი", რომელიც შარშან გამოსცა "მერანმა", ერთ-ერთი პირველი ქართული რომანთაგანია საბჭოთა ეპოქას რომ წარმოსახავს და საბჭოთა ცენტურა არ გაუკლია. მარტო ამის გამოც არის იგი ახლებური, უჩვეულო და უცნაური წიგნი იდეოლოგიურ წნევებში გამოტარებულ რომანებს შეჩვეული წვენი მკითხველისთვის ყოფილ საბჭოთა მოქალაქეს ჯერ კიდევ თავზარს სცემს წიგნის ფურცლებზე დაბეჭდილი ასეთი

სტრიქონები: "მან სიამაყით გაი-ფიქრა, რომ ბაბუა ოჯახში მაინც ბედავდა სიმართლის თქმას, კო-მუნისტების კრიტიკას, თუმცა არავისზე ნაკლებ არ ეშინოდა საბჭოთა რეეშიმის დაუნდობელი სისასტიკას". ("ნაცრის კოშტი" ასახულა ხანა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სტალინის გარდაცვალებამდე).

გურამ გეგშიძის ადრინდელი ისტორიული რომანების მსგავ-სად აქაც ვერ ხერხდება უთვალავ პერსონაჟთაგან ერთი ან რამდენიმე მთავარი გმირის გამოყოფა, ურიცხვ მოტივთაგან და სიუჟე-ტურ განშტოებათაგან ისეთის გა-მორჩევა, მთავარ მოტივს ან მთავარ სიუჟეტურ ხაზს რომ უნდებდი. "ცნობიერების ნაკადის" ანალოგით და მის საპირისპიროდ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ და მღვრიე ნაკადი მოედინება უამრავი ადამიანის თავგადასავა-ლი, ზოგი შედარებით ვრცლად ზოგიც სხარტად და ლაკონიურად მოთხოვნილი, ჩაივლის ჩვენ თვალწინ ზაცრის კოშტის" კითხ ვისა. აქ არის თხრობა, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით: ნანახი განცდილის, გაგონილის თხრობა და ნაკლებად - თხზვა; უფრო, ამ ბები, ხშირად - ამაზრზენი, თავ ზარდამცემი, და ნაკლებად - ხა-სიათები; ბევრი და ხანგრძლივ ტანჯვა-წვალება, ცოტა და ხან მოკლე სიხარული ("ცხოვრებ-საგსე იყო უკეთურებით", "მხო-ლოდ სილარიბე და მოწყენილობი ითვლებოდა ნორმად").

ეს თავგადასავლები, ეს ამბები, რომელთა უმეტესობა დამოუკიდებელი ნოველებივით იკითხება, ერთობლივად ეპოქის ლამი

ԱՅՐՅՈՒՆԱԿՑՈՒԹՅՈՒՆ

გავრცელებული ეხობრივი ექს-ცენტრიკა. (მე-19 საუკუნის ქართული პროზის სტილთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს წინადადების დაწყება პირის ნაცვალსახელს მიღევნებული ზმინთ: "ის იყო მეტისმეტად ჩუმი ბიჭი, არც უნდილაძებს ჰეგვადა და არც ვარდანიძებს", "ისინი შეექცეოდნენ ფრანგულ ღვინოსა და კონიაქს" ... მაგრამ ამ კონსტრუქციასაც ზომიერად მიმართავს, რათა პაროდია არ გამოუვიდეს).

რთული და წინააღმდეგობრივი აზრიც კი, თუ იგი ნათლად არის გაცნობიერებული, შეიძლება უაღრესად სადა და ბუნებრივი სიტყვებით გადმოიცეს:

"აღბერტი ხედავდა, რომ მხოლოდ საერთო ნარმოშობა და სისხლისმიერი ნათესაობა არ

უბრე ხალხს ერთმანეთის ქიმპობით და სიძუღვილით რამდენი სისხლი დაუღვრია უაზროდ? თანამებრძოლნი და თანამოაზრენიც რამდენჯერ ქცეულან ერთმანეთის მტრებად შურისა და ქიმპობის გამო? მხოლოდ სიყვარული და სიყვარულის ნიადაგზე წარმოქმნილი ურთიერთპატივისცემა იყო ერთადერთი ძალა, რომელიც ადულაბებდა ადამიანებს, მაგრამ იმაშიც დარჩნეულდა, რომ სიყვარულიც კი განგების ძალით ეძლევა კაცს".
სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრს როდი სჯერა, რომ მშობლიური ქვეყნის და მშობელი ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ნაკლისთვის თვალის გასწორებას, მის გაცნობიერებას, აღიარებას -

თუ შანკიერების დაძლევა გიჩდა. ამ რომანის ავტორს არ უჰქირს ერთ ოჯახურ კონფლიქტზე თხრობისას მშვიდად განაცხა- დოს: "ხშირ შემთხვევაში ქართ- ველთა დამოკიდებულება ფიზი- კური შრომისადმი საკმარი მახინ- ჯი და კუდაბზიკურია".

ერთგან ასეთ რამეს ვკითხუ- ლობთ: "ყველა ერთმანეთს შინა- ურულად მიმართავდა, ყვაოდა ქართული ფამილიარობა, ბევრს გულითადობა რომ ჰკონია" - ამ ჩინებული ფრაზით ზუსტად არის დახასიათებული სიტყუაცია ბა- თუმის სასტუმროს კაფეში და, რაც მთავარია, ერთი ცნების მე- ორეთი მახვილგონივრული ჩა- ნაცვლებით კიდევ ერთი ნაბიჯია წადგმული წინ "ქართული ფენო- მენის" შეცნობის გზაზე.

მცირებას ადგილი დოკუმენტი და სივრცეში



Digitized by srujanika@gmail.com

გურიაშ ახელი მთავრობილი. მოთხოვდები. 1 ტ. შედგენერალ-რედაქტორი, ნინასიტვაობისა და შენიშვნების ავტორი: მარინე რჩეულიშვილი. მხატვარი: ვახტანგ რურუა. თბილისი, 2002, გამომცემლობა „საარი“. გურამ რჩეულიშვილის საზოგადოება.

კარგა ხასია მოველლოდით გურამ რჩეულიშვილის ალთქმული ხელტომეულის გამოცემას, და აი, ხელთა გავაქვს მისი პირველი ტომი. თვალშისაცემა წიგნის სოლი-დური მოცულობა, მაღალი პოლიგრაფიული დოკუმენტი, მხატვრული გაფორმება - სისადავე და სიმკაცრე. შთაბძეჭდალი ყდაზე გამოსახული ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი ეტრატით ხელში. მნათობი სივრცის კონტრასტულობას ქმნის. ეს კომპოზიცია უკვე იქცა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების სიმბოლოდ. თავიურკელზე გურამის ფაქსიმილეა მოთავსებული. საერთოდ, მწერლის შესანიშნავმა კალიგრაფიამ, ჩართულმა ავტოგრაფებმა არაჩვეულებრივად დაამშვენა წიგნი. დადგა დრო, როცა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება სერიოზულად უნდა შეფასდეს. აქ ვგულისხმობთ არა მხოლოდ მკითხველთა ყურადღებას და ცხოველმყოფელი ინტერესს (რომელიც არასოდეს მოპკლებია მწერალს), არამედ აკადემიური გამოცემის აუცილებლობას. ჩემი აზრით, სწორედ დღეს იყო აუცილებელი გურამის ტომეულების გამოცემა, ვინაიდან ახალთაობისთვის ჰერიტიტაჭიროა ის თვისებები, რომელიც

მენტარიდან ერთ დეტალს და
ყველაფერი ცხადი გახდება:
"1956 წლის 24 იანვარს ალპინის-
ტების ჯგუფთან ერთად მიიმზ-
ზავრებოდა კარპატებში, მზერ-
ვალ გოვერლას დასალაშქრავად-
ბოლო წუთამდე, გამგზავრების
წინ, მზით განათებულ შუპანად-
ში იჯდა ტახტზე და კედელს მოყ-
რდნობილი კითხულობდა ჰემონ-
გუეის მოთხოვნებს (ვაჟა გიგაშ-
ვილის გადმოცემით, ეს იყო ოცი-
ან თუ ოცდაათიან წლებში გამო-
ცემული კრებული: მოთხოვნები
და ერთი პიესა - "მეხუთე კილო-
ნა", ჰატარა ფორმატის, მაგრამ
სქელი, ყავისფერყდანი წიგნი,
რომელიც გურამსა და ვაჟას
ნათხოვანი ჰქონდათ მეგობარი
გოგონასაგანი), გურამი გაზაცე-
ბით კითხულობდა, არადა აგიან-
დებოდა, დღედა დელაგდა. უცხად
ნამოხტება, შუაზე გაკეცილი თაბა-
სის ფურცლები (შეიძლება რვეუ-
ლის) და აეტოკალამი ჯიბეში ჩა-
დო, ზურგჩანთა აილო, თქვა,
მორჩა, ვინყვაბ წერასო, გადავა-

კოცხა და სირბილით დაეშვა კი-
ბეზე".

კომენტარებში უხვად მოხმო-
ბილი ფაქტობრივი მასალა
აცოცხლებს მწერლის სახეს და
მკითხველის ნარმოდგენაში იხა-
ტება მისი პორტრეტი. მთავარი
სწორედ ესაა, - ფაქტების შეუვა-
ლობა, ფაქტები ძალზე მრავალ-
ფეროვნად ნარმოგვიჩენს მწე-
რალს: გურამი - სპორტსმენი, ალ-
პინისტი; გურამი - მოგზაური;
გურამი - პირველი მოთხოვნების
ავტორი; გურამი - მყითხველი;
გურამი - შვილი, ძმა, მეგობარი....
ერთმანეთს ებმის სხვადასხვა
მნიშვნელოვანია ამბები: თუნდაც,
თავზარდამცემი 9 მარტი რად-
იორს, რომელიც აუცილებლად
ღრმად აღიბეჭდებოდა მწერლის
ცნობიერებაში... ალბათ, ძალზე
საინტერესოა გურამი, როგორც
მკითხველი, ის კითხულობს პე-
მინგუების, ტოლსტოის, მერეჟ-
კოვსკის, თომას მანს, დოსტოევს-
კის... არ შემიძლია არ მოვიტანო
გურამის მამის, მიხეილ რჩეუ-
ლიშვილის მოგონება: "გურამი
ცხენზე პირველად აღვანში შეეს-
ვი. მაშინ, როდესაც 7-8 წლისა
იყო. კარგი ცხენები მყავდა. გან-
საკუთრებით კი თვირთვილა და
სალამურა (მომავალში მისი
მოთხოვნების გმირები), ბავშვო-
ბიდანვე გურამი მეტისმეტად
გამბედავი იყო და, ალბათ, ეს იყო
იმის მიზეზი, რომ პირველი შეჯ-
დომისთანავე გააჭერა ისეთი



ფიცხი ცხენები, როგორებიც იყვნენ სალამურა და თვირთვილა...”
ეს რამდენიმე ციტირებაც კი კარგად ნარმოაჩენს მწერლის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით პერიპეტიტებს. არსებითია არა მხოლოდ კონკრეტული რეალია, რომელიც უშუალო მიზეზია ამათუ იმ მოთხოვნის დაწერისა, არამედ, როგორც ზემოთაც ვთქვით, მთლიანი ატმოსფერო, რომლის ნიაღმიც ჩაისახა თვითმყოფადი შემოქმედებითი სამყაროს მკაფიო კონტურები. კომენტარებში ყოველივე ეს გამჭვირ-

ვალედ იკვეთება. მარინე რჩეულიშვილმა გაგვიცოცხლა ეპოქის ის მონაკვეთი, რომელშიც მისი ძმა ქმნიდა ქართულ მწერლობაში სიცოცხლის სისავსით, დინამიურობით, მძაფრი შთაგონებით აღბეჭდილ ნაწარმოებებს. ყოველი-ვე ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სულ უახლოეს მომავალში **XX** საუკუნის ლიტერატურის მკვლევარი მთლიანობაში განვითრებს გურამის შემოქმედებას და კუთვნილ ადგილს მიუჩენს მას. ეს იქნება მწერლის მუდმივი ადგილი დროსა და სივრცეში.

ଭାରତୀୟ ଶାସନ ପାଇଁ ଜ୍ଞାନ ପାଇଁ ଏକ ମହିମାନ



CPURCA ፭፻፲፯

გიგი სულაკაური. ქუჩის ბიჭების გასაგონად (ლექსები). მხატვარი ლაპა სულაკაური. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", თბ. 2001.

გიგი სულაკაურის წიგნს რომ
კითხულობ („ქუჩის ბიჭების გასა-
გონად“) პირველი შთაბეჭდილება
ასეთია: ავტორმა ექცება და მიაგ-
ნო იმ გრაფიკულ გამოსახულე-
ბას, რომლითაც საკმაოდ თავი-
სებური მსოფლშეგრძნება უნდა
გადმოეცა. უფრო ზუსტად რომ
ვთქვათ, გიგი სულაკაურს კარ-
გად აქვს მორგებული თავისი
„პოეტური ენა“, - ლექსიკა, სინ-
ტაქსი, მეტაფორული სტრუქტუ-
რა. იქნებ ყოველივე ეს თავისთა-
ვად, ბუნებრივად, თვითდინებით
მოხდა. შეიძლება, მაგრამ ხომ
არსებობს გამოცდილებაც, ალ-

კიზიონი ყოველთვის ერთნაირი არ არის. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არის ლექსები, სადაც სახეები სურათოვნებას მთლიანად მოკლებულია და თვითონ პოეტის შინაგანი მდგრმარეობაა ვიზიონერული: "თვალდაბუჭული, როდესაც მზეს შევხედავ, ჯერ სისხლისფერ ფარდას დავინახავ, ცოტა ხანში კი ლურჯი, მწვანე და ისაფერი მოძრავი ლაქებიც გამოჩნდებიან. ასე საათობით ვერთობოდა ბაშვობაში". ეს ლექსი მართლაც ინშანდობლივა, რადგან გიგი სულაკაურის პოეტურ ნიმუშებთან ზიარება თითქმის ყოველთვის აღძრავს აზრს, რომ პოეტი იმას აფიქსირებდა ლექსად, რაც თვალდაბუჭულმა იხილა. ვფიქრობ, ლექსის სტრუქტურასაც მისი ვიზიონით განსაზღვრული ბუნება აპირობებს. მხოლოდ ეს უკანასკნელი ნიმუში ამავე დროს რეფლექსიაა, აქ ავტორი საუბრობს იმაზე, თუ როგორ წერს ლექსს. აქ ლიტერატორი, ანალიტიკოსი საუბრობს შემოქმედებით პროცესზე.

საერთოდ, განსჯითი ელემენტი უცხო არ არის გიგი სულაკაურის ლექსებისთვის, მაგრამ განსჯაც თავისებურია. პოეტი თითქოს კომენტარს უკეთებს თავის ხილვებს და ზოგჯერ ეჭვიც შეაქვს ამ ხილვების რეალობაში: "მე ვხედავ შავ ხეს და ძველებურ სახლს უამისაგან განაცრისაფრებულს, მძიმე ფიფქებით სავსე ღამეებს, ან იქნებ ნისლი ან სითერო მატყუებს ასე".

ჩემი აზრით, კრებულში "ქუჩის ბიჭების გასაგონად" ლექსების ქონილოგია მეტყველებს იმაზე, რომ დროთა განმავლობაში "ვაზიანში", აუკავშირის მიერთება.

კამ" იმატა გიგი სულაკაურის ლექსებში. გავისხენოთ ისეთი ლირიკული ნიმუშები, როგორებიცაა "ნიშანი", "ლამე" და სხვ. აღბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ მეტამორფოზამ (მე-იძლება ღრმა მსოფლმხედველობრივი ცვლილებებით გამოწვეულმა) სისადავე და სიმკეთრე შესძნა ამ ნიმუშებს. აქა-იქ გაჩნდა ხალხურ კილოზე დანერილი ლექსებიც, სადაც უაღრესად ფაქტზე სტილზაციის კვალიც გამოსჭივის: "მთა ბევრი გადავიარე, ბევრი შევეშვერი მთავრესა, დავკარგ მძანაფიცები, ყველა სხვადასხვა მხარესა, მშვიდობით, მიგად საძებრად, გაეხურავ სახლის კარგბა". ან ასეთი: "დავთვრები, დამავინწყდება ნაოჭი ამ ჩემს სახტებ, ვიფიქრებ, - ხომ არ წავიდე, შენ, - აქ დარჩიო, - მაქეზებ... დავრჩები, არ დაბრუნდება ძალი - ლიმილი ბაგზე".

ვფიქრობ, საგანგებო, ცალკე საუბრის თემაა საგრძების და მიგლენების ხატვა გიგი სულაკაურის ლექსებში. აქ ლაპარაკია მხატვრის თვალზე, მის უშუალო მიმართებაზე საგნებთან. ვიზონერობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოეტი საგნობრივი, ხელშესახბი სამყაროს მიმართ გულვრილი იყოს, - პირიქით. ძალზე შთამბეჭდავია მშვენიერი ესკიზი "კვირა დღე": "ფერებმა მთებზე გადაინაცვლეს. დაბა სველია, მკვეთრი. უფორმო, ხანგისფერი ფოთოლი ფარავს ფარდულს. ფარდულთან იზღაუზებიან დაბის კაცები. თავები უდევე ერთმანეთი კისრებზე ცხენებს. სასადილოსთან ჭიდავდნენ ჭრელი ლეკვები. სველი და მთვრალი ჰაშუაზე ასეთი ხელი არ მოიწოდება.

თან ვერ გაიგებ, საყრდენი რომელს უფრო სტირდება - დაბრე-ცილი ხე - მთვრალს თუ პირიქით, მთვრალი და სველი ბუშლატი... სალამო ნელა იშლის ქვეშაგებს".
პოეტურ კრებულში "ქუჩის ბიჭების გასაგონად" გაერთიანდა სხვადასხვა დროს ცალკე წიგნებად გამოსული ციკლები: "საგნები თოვლში", "ზოდიაქოს ბორბალი", "კედელი", "ხეები", ბიჭი და სხვ.", გაერთიანდა და ერთობანის ბედნიერი გამოდგა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ეს ერთიანობა და სისრულე, შემოსაზღვრულობის შთაბეჭდილება, სწორედ განსხვავებული მოტივების, ნიშნების, ლექსნერის ხერხების სიმრავლემ დაბადა. კრებული შინაარსობრივად შეავსო მიძღვნითმა ლექსებმა. ბოლო დროს დაწერილმა ვრცელმა ლირიკულმა ნიმუშებმა (როგორიცაა ვთქათ, "ლამე" ან "ნიშანი") ხედვის ახალი პერსპექტივა გახსნა და ახალი ყოფით-ცხოვრების სეული ანტურაჟი შემოიტანა პოეტურ სივრცეში. "ზოდიაქოს ბორბალი" ლაკონიზმისა და ლექსიკური სიზუსტის ნიმუშად დარჩა. კაფე "თბილისი" და სხვა რითმიანი ლექსები კონვენციური ლექსის ორინიზირობის შტრიხით ავსებენ მთელ კრებულს. საერთოდ, ირონია სხვადასხვაგვარად ვლინდება გიგი სულაკაურის წიგნში - მთელი წიგნის ინტრინაციურ წყობაშია განვითილი...
ჩემთვის, პირადად, კრებული "ქუჩის ბიჭების გასაგონად" ვრცელი საუბრის სურვილს აღძრავს. მე მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანებს მომენტს შევეხე, რაც საუბრის მხოლოდ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

ნატვლიანი ქალაქი



ზაალ სამადაშვილი. ალი გ
მურულ შუშაში (მოთხოვება
რედაქტორი დათო აბულაძ
მხატვარი ზურაბ მიმინოვვ
ლი. თბილისი. "საარი". 2001

ზაალ სამადაშვილის მოთხ-
რობებში უამრავი ნაცნობი მო-
ტივია. მათი უმეტესობა არ შეგხ-
ვდებათ ქართულ პროზაში, არა-
მედ, როგორც გურამ დოჩანაშვი-
ლის ერთი პერსონაჟი იტყვიდა,
“პირდაპირ ცხოვრებიდანაა აღე-
ბული”. და მაინც, ზაალ სამადაშ-
ვილთან მეათეხარისხსხვანია ის,
რასაც მივიწყებული ესთეტიკა
“სინამდვილის მხატვრულ ასახ-
ვას” ეძახდა. თბილისში არის
რამდენიმე უბანი, რომელსაც

არავინ იცნობს ზაალ სამადაშ-
ვილზე უკეთ. მისი მოთხოვნები
ამ უბნებში საყიალოდ დაწერილი
გზამკვლევებია. ოღონდ დაწერი-
ლი ძალიან ნაღვლიანად.

ნაღველი ზაალ სამადაშვილის
პროზაში გარდასულის მიმართ
ნოსტალგიას არ ახლავს. ნოს-
ტალგია, ნარსულის, ძველი ობი-
ლისის, კაცურქაცობისა და ასე-
უცნობის, რომელიც მარტინი

თე - ამ სამ სიმზეა აწყობილი ზა-
ალ სამადაშვილის მოთხრობები.
იშვიათად, რომელიმე ქართველ
მწერალთან მახსოვდეს მედევო-
ბისა და თუნდ სულ პატარა კე-
თილშობილების ასეთი დაუინე-
ბული ძეგა ცხოვრებაშეუმდგარ
ადამიანები და, ამავე დროს, გა-
უნდებლად ჯებიზელი ხედვა მი-
ზეზებისა, რამაც მათი ცხოვრება
შესრულდა.

ხედები იმ ხალხის სულიერ ძმებსა თუ უახლოეს "წინაპრებს", ვინც 80-ანი წლების ბოლოს თავის თანამოქალაქეებს იარაღი მოუღერა და ბოლომდე ახლაც ვერ გააგდებინეს ხელიდან. თბილისში ყოველთვის იყო ძალადობის სპეციალისტი გარემო, რომელსაც ჩევრი თან თავმომწონე, თან კი ყოველი და გაზულუქებული მართვის მიმართ გადასახლდებოდა.

მნერლის ერთი ხერხი აუცილებლად უნდა აღვნიშონ: *Ex ungue leonem*, "ძრჭყალიდან ლომი" - ზაალ სამადაშვილი დეტალის სტატია; როგორც თბილისის რამდენიმე ქუჩით აღადგენს მთელ ქალაქსა და დროს (რომელიც, პრინციპში, გაჩერებულია), ისე რამდენიმე ნივთი, ჟესტით თუ ფერი სიკოცხლეესა და

დააჯერებოლობას პატეტის მოაყენოს; თავად განასჯეთ: "[მრინას] ამიტომაც სიამორნებდა სახეზე წყლის შესხმა საჩიხაურო, გვერდებშეჭყლებტილი პირსაპანიდან და თედოს სქლადნაქსოვი, განელილი, თამბაქოს სუნით გაუღენთილი სკიფრის გადაცმა მიმდევლ ტანზე". ან: "ლურჯზოლიან, ლრმა თევშზე დახვავებულ, კარგად დაბრანულ კარტოფილს რომ გავანახევრებდი, მხოლოდ მაშინ გავიხედავდი ლიმონათისკენ. მამა ნათალ ჭიქებში ჩამიპირქვავებდა ბოთლს, თვითონ ლუდს დაისხამდა და ჭიქის კიდეს ცოტაოდნენ მარილს წაუსვამდა".

ცოტა გასაკვირია, თუ სანატ-რელი ამ წარსულში თითქოს არა-ფერი დავრჩა, "რადა აქვს გულს ეს ჩუმი ნალვეები?". ნუ დაუწყებთ ზაბალს წიგნში ამ კითხვის პასუხს ძებნას. ადამიანი სუსტია და, თუ სისუსტეშიც ინარჩუნებს სილბოს, სიკეთესა და სიყვარულს, მაშინ ის კარგი ადამიანია. გაუგეთ, თანაუგრძელეთ ან აპატიეთ. ისე, მწერალი არაურისკენ არ "მოვინოდებთ". ის წყარად გესაუბრებათ და ხანდახან, თქვენთან ერთად, შეეხმიანება ხოლმე გურამ დოჩანაშვილს, რეზო ინანიშვილს, გურამ რჩეულიშვილს....

პირველი პერსონალური ცხდილობრივი საჭართველომი



თამარ სახილვილი

ქართული ბეჭდვითი სიტყვის
ისტორიაში ახალი სიტყვა ითქვა,
მეცნიერის შესახებ გამოცემულ
ამ ენციკლოპედიას მსოფლიოში

ანალოგი არ მოექცებნება.
ივანე ჯავახიშვილი. ენციკ-
ლოპედიური ლექსიკონი. მთავა-
რი რედაქტორი როინ მეტრევა-
ლი, სარედაქციო კოლეგია ნ. გი-
ორშილი, მ. ლორთქიფანიძე, გ.
ნარსია, დ. ნინიძე, ზ. პაპაქეირი,
გ.სალიაშვილი. თბილისი "თბი-
ლისის უნივერსიტეტის გამომ-
ცემლობა". 2002.

1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიმა პირველი კურსდამთავრებულები გამოიუძვა. ერთი წლის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა აქ სტამბა დააარსა. 1933 წელს უნივერსიტეტს უკვე საკუთარი გამოიმცემობა ჰერნა-და. მას შემდეგ თითქმის საუკუნეები განვლონ, ახალმა ცხოვრებამ ახალი მოთხოვნები მოიტანა და

დღოთა განმავლობაში ბევრი რამ
შეიცვალა სტამბაშიც, გამომ-
ცემლობაშიც და, საერთოდ, სა-

გამომცემლო საქმეშიც.
წელს თსუ გამომცემლობამ
ივანე ჯავახიშვილის ენციკლო-
პედია გამოსცა. ქართული ბეჭდ-
ვითი სიტყვის ისტორიაში ახალი
სიტყვა ითქვა, ახალი არა მარტო
იმიტომ, რომ საქართველოსთვის
ეს პირველი პერსონალური ენ-
ციკლოპედია (სხვათა შორის,
ევროპისგან განსხვავებით, დათ-
ის ქვეყნებიც არ არიან განებივ-
რებულინი ამ სახის გამოცემით,
რამდენიმე გამონაკლისს თუ არ
ჩავთვლით), არამედ იმიტომაც,
რომ, როგორც ქართველი
მკვლევარები აღნიშნავენ, მეც-
ნიერის შესახებ გამოცემულ ამ
ენციკლოპედიას მსოფლიოში
ანალოგი არ მოეძებნება.

ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის ისტორიის დიდ მკვლევარზე, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელზე ასეთი ნაშრომის შექმნა სწორდაც რომ უპრინაია. თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურს-დამთავრებული, იგანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი მოსწავლე, აკადემიკოსია არნოლდ ჩიქობავა ასე შეაფასებს იგ. ჯავახიშვილის ღვაწლა:

“ყოველ ხალხში გამოირჩევა-
ან ადამიანები, რომლებშიც თით-
ქოს ხორცი შეუსხამს, შენივთე-
ბულია მონბელი ხალხის საუკე-
თესო თვისებები. მათი სახელები
უკვდავია ხალხის მეხსიერებაში,
და თვით ხალხი უკვდავია ამ სა-
ხელებში. ქართველი ხალხისათ-
ვის ერთი ასეთი სახელია ივ. ჯა-
ვახიშვილი. რაც დრო გაიღლის,
მით უფრო სრულად გამოჩნდება

მისი ნაღვანის დიდი სამეცნიერო
და საქვეყნო მნიშვნელობა.”
გასაგებია, თუ რატომ შეაჩე-
რება ეს კანონის მიზანი.

რეს მკვლევარებმა არჩევანი ივა-
ნე ჯავახიშვილზე. მას ხომ ისტო-
რიის არცერთი დარგი არ დარჩე-
ნია შეუსწავლელი. ენციკლოპე-
დიის შექმნაში 63 ავტორი მონა-
ნილეობდა (მთავარი რედაქტო-
რი: როინ მეტრეველი); წიგნი 120
ნაბეჭდ თაბახს მოიცავს, იგი ორი
ნაწილისაგან შედგება – ნარატი-
ული (ივ. ჯავახიშვილის წინაპრე-
ბი), შთამომავლობა, ცხოვრებისა
და მოღვაწეობის ძირითადი თა-
რილები) და ანბანური ნაწილები-
საგან, და ეხება ყველა სფეროს: ისტორიას, ეკონომიკას, მუსიკას,
სოფლის მეურნეობას... ენციკ-
ლოპედიაში შეძლებისდაგვარა-
დაა შეტანილი ყველა იმ ადამია-
ნის სახელი, ვისაც კი რამე მო-
ნოგრაფია თუ სტატია მიუძღვნა
დიდი მეცნიეროსათვის. „შეძლე-
ბისდაგვარად”, - ამ სიტყვას ხაზს
უსკამენ ენციკლოპედიის შემდ-
გეხელნი და აღნიშხავნ ენციკ-
ლოპედიური ხასიათის ნაშრომის
იმ თავისებურებას, რომ ის არა-
სოდეს არ არის ბილომდე დას-
რულებული. აგტორები არ მაღა-
ვენ, რომ მუშაობის პროცესი მძი-
მე იყო და გარკვეული ხარვეზე-
ბის არსებობასაც არ გამორიცხა-
ვენ, მაგრამ მათ მცითხველის
დახმარების დიდი იმედი აქვთ:
„მზად ვართ ყველა შენიშვნა მი-
კილოთო”, - აცხადებნ ისინა.

A black and white studio portrait of a middle-aged man. He has thinning, light-colored hair styled upwards and a well-groomed mustache. His eyes are dark and focused forward. He is dressed in a dark, possibly black, suit jacket over a white collared shirt and a dark necktie. The background is a soft, out-of-focus gradient from light to dark.

ლი დაუდგეს, სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტისა და ლინიაშვილი-
სეული ძეგლის შემდეგ,” - გა-
ნაცხადა აკადემიკოსმა ედიშერ
ხოშტარია-ბროსემ. ამ ძეგლებს
ჯავახიშვილის რჩეული ტომების
გამოცემასაც მივუმატებდით.

ლოპედია საქართველოს ისტო-
რიის ენციკლოპედიაა. ქართველ
მეცნიერებს დიდი იმედი აქვთ,
რომ პირველი პერსონალური ენ-
ციკლოპედია უკანასკნელი არ
იქნება.

"როცა მასა პარიზში წაგიდო..."

გიორგი ლომაზანიძე

თუმცა, სანამ წერილის მთავარ სატემელზე გადავიდოდეთ, უმჯობესია, ჯერ კარგი აღინიშნოს, კარგი კი ის არის, რომ ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობების საზოგადოება, ეგრეთ წინდებული "დიუმას ცენტრი" საჭაროველოში აქტიურად მოღვაწეობს და ამ მოღვაწეობამ უკვე მრავალი სასიკეთო შედეგიც გამოიიღო. საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შორის საფრანგეთის საელჩო

ტურასა და ცდილობს, ამ კუთხით,
მრავალი საინტერესო პროექტი
განახორციელოს. ერთის მხრივ,
გასაგებია, რა პოლიტიკური სა-
ფანელიც უდევს ამ ძალისხმევას:
დღევანდელ მსოფლიოში, სადაც
ძალთა ხელახალი გადანაწილება
მიზინიან არებს, ახლად გათავი-
სუფლებულ ქვეყნებში ფეხის მო-
საკიდებლად და გავლენის გასაძ-
ლიერებლად უდიდესი მნიშვნე-
ლობა სწორედ კულტურულ ექს-
პანსიას ენიჭება. იმის გაკეთება,
რასაც პოლიტიკური აქციების
საშუალებით ვერ მოახერხებ,
კულტურულ ღონისძიებათა მეო-
ხებით სულ იოლად და უმტკიცნე-
ულოდ შეიძლება. მეორეს მხრივ,
ამ კულტურულ ღონისძიებათა
სასიცოცხლო მნიშვნელობის და-
უნახობა თავად ჩვენი ქვეყნის
ინტელექტუალური ცხოვრები-
საოვის, რბილად რომ ვთქვათ,
უმაღლურობა იქნებოდა. მართ-
ლაც, მადლობის მეტი რა გვთქ-
მის ჩვენი იმ ფრანგი მეგობრები-
სადმი, რომლებიც საქართველო-
ში დღეს გამეფებული ტოტალუ-
რი სიყრუის პირობებში, ცდილო-
ბენ, ამა თუ იმ ფორმით, ქართულ
კულტურასა და ლიტერატურას
ხელი შეაშველონ. განზრახვა,
თავისთავად, ძალზე კეთილშო-

კულტურის კეთილისმყოფელ ზეგავლენას უარყოფს ვინძე; უბრალოდ, სასურველია, საქართველოში კულტურის სფეროში მოღვაწე უცხოურმა ფონდებმა და ორგანიზაციებმა სერიოზულად გადასედონ თავიანთ პოლიტიკას და ის ისედაც მწირი თანხები, რაც აღნიშნული სფეროს პროექტებისათვის იხარჯება, ბარემ გონივრულად, მიზანმიზართულად და ორმხრივად სასარგებლო საქმეებში დახარჯოს. ამისათვის აღნიშნული პროექტების განხორციელება შემთხვევით ადამიანებს კი არა, იმ პიროვნებებს უნდა მიენდოთ, რომელთა რეცუტაცია, გამოცდილება და პროფესიონალიზმი საქმის ლირსეულად დასრულების გარანტიას იძლევა. დებიუტანტებს რაც შეეხებათ, თუ მაანცადამაინც მომავალ თაობაზე ზრუნვას დავისახავთ მიზნად, მაშინ ვთქვათ, ნაბეჭდი ტექსტის, კონკრეტული თარგმანის შემთხვევაში, გარკვეული პასუხისმგებლობა თავის თავზე გამოცდილმა, გემოვნებიანმა რედაქტორმა აიღოს, რომ საქმე მოვალეობის მოხდის მიზნითა და მხოლოდ ერთი დღისთვის არ "მივახუთშაბათოთ".

ქობს, რომელიმე ტექსტი საერთოდაც თარგმნილი არ იყოს. იმიტომ, რომ ცუდი თარგმანი დათვურ სამსახურს უწევს უცხოურ კულტურას და მან შეიძლება მკითხველს საბოლოოდ გაუქროს არათუ ერთი კონკრეტული ნანარმობებისადმი, საერთოდ იმ ვაივაგლახად თარგმნილი მწერლის მთელი შემოქმედებისადმი ინტერესი. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ასე დამემართა, როცა პოლ კონსტანტის რომანის „გულახდილი საუბრების“ შორენა ნინიამჟილის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი წავიკითხე.

წელან დებიუტანტებზე რომ მოგახსენებდით, უპირველესად სწორედ ქალბატონ ნინიაშვილს ვეულისხმობდი. იგი, როგორც ჩანს, ახლახან შეუდგა მთარგმელობით მოღვაწეობას, რადგან დიდ ბოლიშს ვუხდი, მაგრამ ჯერჯერობით, მისი სახელი და გვარი არაფერს შეუბნება. კი, ბატონო, შეიძლება ეს ამბავი ჩემს არაინფორმირებულობას მივაწეროთ, მაგრამ რა მოვუხერხოთ თარგმანს, რომელიც იმდენად სუსტია და ისეთი კურიოზული შეცდომებით არის საგსე, თვით დებიუტანტსაც რომ არ ეპატიება. ვერ

ეს კი უნდა იყოს ეს მარტივი ცილი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მშპბ-ლიური ქართული არ ემარჯვება. პოლ კონსტანტინის სარეცეპტოი რომანს, რომელსაც "გონიურების პრემია" მიუღია, ფრანგულად "Confidence pour confidence" ჰქვია, რაც შორენა ნინი-აშვილს ქართულად "გულახდილ საუბრებად" უთარგმნა. მესმის, რომ სათაური ხშირად ტექსტის ყველაზე "ჯიუტი" ნაწილია, რომელიც მეორე ენაზე ძნელად ითარგმნება და ამიტომ, მთარგმნელი იძულებულია იგი, სხვადასხვა მოსაზრებით, თავისი აუდიტორიის გემოვნების შესაბამისად შეცვალოს, მაგრამ, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, პოლ კონსტანტინის რომანის სათაური ზუსტად თარგმნილიყო და ქართულად ასე გადმოვველო: "გულახდილობა გულახდილობის წილ"; ამით, ჯერ ერთი, უფრო პირნათელნი ვიქებოდით ავტორთან და მეორეც, სათაურში ყოვლად გაუმართლებელი "საუბრების" გაჩერნას ავცდებოდით. თუმცა, ეს პასაუზი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც

მკითხველი თვითონ ტექსტის
კითხვისას წააწყდება.

სამწუხაროდ, ჩემი ფრანგული საშუალებას არ მაძლევს შორენა ნინიაშვილის თარგმანი წიგნის დედანს სიზუსტის თვალ-საზრისით შევუძღარო. თუმცა, ქართული ტექსტიდან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ არა სიტყვათა სემანტიკის, არამედ მათ ემოციური დატვირთვის დონეზე, როგორც ჩანს, ეს თარგმანი არაადევებატურია, თორემშეუძლებელია, ისეთი დიდი ლოტერატურული ჯილდო, როგორიც გონკურების პრემია გახლავთ, ამ აბდაუბდა გაუგებრობას მიეღო. ყოველ შემთხვევაში, ეს უაზრო სენტიმენტალურობა,

განელილი, ყალბი პოეტურობით „მთრთოლავი“ პასაყები და ჩახ-ვეულ-ჩახლართული წინადადება ბები, რომელთაც ვერაფრით „ჩაჭრი-ჩაკარაბავებ“ (ანუ თავ-სა და ბოლოს ვერ გაუგებ), არა მგონია, დღევანდელ საფრან-გეთში დიდ ლიტერატურულ ღირსებად ითვლებოდეს.

აბა, ერთი ეს წინადადება ნა-ხეთ: „მისი მეგობრები დარწმუ-ნებულნი იყვნენ, რომ ის ლოლა-დოლი იყო, რომ ლოლა დოლის ნამდვილი სახელი - მსახიობ-თაგან ერთ-ერთმა პირველმა შეინარჩუნა მან საკუთარი გვა-რი - მხოლოდ ფსევდონიმი იყო, რომლის დანიშნულებაც ავრო-რას ნამდვილი ცხოვრების და-ფარვა იყო“.

ამ უხეშ ტავტოლოგიას რომ

ამ უხერ ტავტოლოგიას რომ
თავი დავანებოთ (არადა, როგორ
გინდა, თავი დაანებო, როცა ერ-
თი წინადადების მანძილზე ამ-
დენჯერ შეორდება ეს გაუთავე-
ბელი „იყო“, „იყო“), როგორც
ჩანს, მთარგმნელს არ გაუგია,
რომ არსებობს გრამატიკის ძალ-
ზე საინტერესო დარგი - სინტაქ-
სი, რომელიც წინადადებაში
სიტყვათა შეკავშირების წესებს
შეისწავლის და ნებისმიერი ენის
(მათ შორის, ფრანგულის) ხერხე-
მალს წარმოადგენს. აქ უკვე
მხატვრულ ღირებულებებზე კი
არა, ელემენტარულად, მშობლი-
ური ერის გრამატიკის უცოდინ-
რობაზეა ლაპარაკი.

ნიგნის პირველივე გვერდებზე
"შემოგანათებთ". ამის შემდეგ
თუ კითხვის სურვილი საერთოდ
არ გაგიტრათ და რომანის კითხვა
განაგრძეთ, კიდევ უფრო საინტე-
რესო პასაჟებს წააწყდებით. მაგა-
ლითად ამას: "მერე გულისრევის
გრძნობა დაეუფლა კუჭიდან პი-
რის ღრუმდე". ან კიდევ: "ძალი-
ან გაუჭირდა პამიდვრის სოუ-
სის მუდმივი თანაარსებობის

ატანა, რომელიც გულუხვად
აწერდა ხელს თავისი მარკის წი-
თელი და ოხევადი ტომატის პას-
ტიდან გადმოსული თვითეული
ქმნიშვნელონ ნაწარმსაც იყო.

უშნიძეველო ხანარმსაც კი .
თქვენი არ ვიცი და მე - პირა-
დად - ვერაფერო გავიგებ .
მესმის, რომ ძალიან დამდლე-
ლია მსგავსი ციტატების უკომენ-
ტაროდ კითხვა, მაგრამ ეს ის
შემთხვევებია, როცა კომენტარი,
მართლაც, ზედმეტია . თანაც,
ისეთი ჩახვეული წინადადებები
გახდავთ, უბრალოდ, აზრი ვერ
გამომაქვს, თორემ ერთ-ორ პა-
საჟს რიგიანად ჩავასწორებდი,
რომ ცალკე მწერლისა და ცალკე
მშობლიური ენის ლირსება და-
მეცვა . იმ ენისა, რომელზედაც,
თავის დროზე, ფრანგ მარი ბრო-
სეს უთქვამს: "ქართული დიდე-
ბული ენაა, მოქნილი, სრულყო-
ფილი და ამ ენაზე ნებისმიერი
აზრი ლალად, ძალდაუტანებ-

ლად გამოითქმებათ". ბროსეს სიტყვებს ვერაფრით ირნშმუნებს ის კაცი, ვინც შორენა ნინიაშვილის თარგმანის ამ პასაუს წაიკითხავს: "წიმიან ქორჩილს ბედნიერება მოაქვს, როგორც ფრანგები ამბობენ, თქვა სუიტიმ და უკანასკნელი და ლილებული ჟესტით სტუმრები ბელმონტ ჰაუზის სალონებში მიიწვია და ის მხერია, რომელიც გამოაშუავნა სუიტიმ, ერთადერთი უძვირფასესი და უსათუთესი ვაჟის დედამ, ვაჟისა, რომელიც აერთიანებდა ქალთა და კაცთა გრძელი სიის იმდევბს სრულყოფილების მიღწევისა, შეირყა, შემდეგ კი ჩაქრა იმ ემოციისა გამო, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა ბედნიერება".

ბაში სერიოზული ეჭვი შევიტანო. ასეთი მკაცრი შეფასებისა-
გან, ალბათ, მაინც თავს შევიკა-
ვებდი, რომ არა ერთი, ჩემის აზ-
რით. საქართველოსთვის სიმპ-

რით, საქართველოსთვის სიძლ-
ტომატური, მახინჯი ტენდენცია.
ჩვენთან მოსახლეობის მცირე-
რიცხოვნებისა და, შესაბმისად,
არცთუ ისე დიდი კონკურენციის
პირობებში, თითქმის ყველა სფე-
როში უცებ, ყოველგვარი ძალდა-
ტანების გარეშე იმკვიდრებენ
თავს ადამიანები, რომელთაც
მოღვაწეობის დასაწყისში რაღაც
საქმე გამოიუვათ და მერე მთელი
სიცოცხლე იმ ერთადერთი საქ-
მის შედეგით ტკბებიან. ქართუ-
ლი ემოციური საზოგადოების
თავშეუკავებელი, უტრიორებული
შეფასებანი, რომლის მიხედვი-
თაც, ყველა ასე თუ ისე ნიჭიერი
ადამიანი გენიოსად იწოდება, ამ
ადამიანებს თვითკმაყოფილები-
საკენ უბიძებს და ჩანასახშივე

უსპონბს თვითკრიტიკულობის განცდას, რაც პროფესიული ზრდა-განვითარების უმნიშვნელოვანესა წინაპირობაა. ამიტომაცაა, რომ ქვეყანა არ შემდგარი სპეციალისტებით გაიგისო, რომელთაც ჩვენვე ვარნმუნებთ საკუთარ განსაკუთრებულობაში და ისინიც ამ დიდ და ხშირ შემთხვევაში დაუმსახურებელ პატივს არხეონად, ყოვლად "უპარ-დონიდ" იფერებენ.

ზემოთქმული არავითარ შემთხვევაში არ ეხება თავისი საქმის მართლაც ღრმა მცოდნესა და გემოვნებინ ლიტერატორს ქალბატონ მზია ბაქრაძეს. პირიქით, თუ საქართველოში ვინმე ღირსია თავის პროფესიაში მეტრის სახელს ატარებდეს, ერთ-ერთი პირველი ქალბატონი მზია ბაქრაძეა. თუმცა, სწორედ ამის გამო, მას უფრო მეტიც მოეთხოვება და გულდასაწყვეტია, როცა ენობრივ ლაფსუსებს მეტიხველი მის პრინციპულად კარგ თარგმანშიაც კი აღმოაჩენს. ძირითადი ლაფსუს, რაც სარეცენზიო წიგნების მთარგმნელებს და, მათ შორის, ქალბატონ მზია ბაქრაძესაც მოსდით, რელატიური ნაცვალსახელების არასწორი გამოყენებაა. ამით ხშირად უხეშად ირლვევა ქართული ტექსტის ბუნებრივი მდინარება, და უფრო მეტიც, - სათქმელი ბუნდოვანი ხდება. მაგალითად, ანი ერნოს მოთხრობაში "ადგილი" (თარგმანი მზია ბაქრაძისა) ვყითხულობთ: "რაღაც მომენტში ეს იმედი შეენაცვლა მის საკუთარ ოცნებას (ერთხელ რომ ალიარა) - ქალაქის შუაგულში ერთი კარგი, ტერასიანი კაფე გაეხსნა". ამ კონტექსტში მთლად ნათელი არ არის, რა იგულისმება "მის საკუთარ ოცნებაში". ამას გარდა, "წვრილ-წვრილ" გრამატიკულ შეცდომებს ამ თარგმანის ბევრ ადგილას წააწყდებით. ყველა ამ

შეცდომის საგულდაგულოდ აღ-
ნუსხვა ჩემი მიზანი არ გახდავთ
და დღევანდელ რეცეპტზებში
მხოლოდ რამდენიმე მათგანზე
შევაწირებ მ კითხვალის ყუ-


ქეთევა არ მოიხსენის, უკანა დღე გადასახლდა: "მხოლოდ დედა ჩემს ჰქონდა და ანით ლებული თვალები და სახის ნაკვეთები ნერვულად უთრობდა" (უნდა იყოს, "ნერვულად უთრობდა"). "გაპარსის შემდეგ მამაჩემმა მიცვალებული წამოსვა, რომ პერანგი, რომელსაც ბოლო დღეები ატარებდა, გაეხადა და ახალი, სუფთა ჩაეცეპა" (უნდა იყოს: "ჩაეცმია"). სხვანაირად, ბუნდოვანი ხდება: ვინ იცვლის, თუ ვის უცვლიან ტანსაცმელს). "დედა ჩემს გაზიერებიდან გადმოჟქონდა მოდების (უნდა იყოს "მოდის") სიახლეები, ერთ-ერთმა პირველმა შეიჭრა თმები" (უნდა იყოს "თმა"). შესაძლოა, ვინმეს ჩემი ეს შენიშვნები ზედმეტ "ასოკირკიტობად" მოეჩერე-

ამ მგზავრების გადაყვანა
უძაბნოსაც კი, სადაც არა-
ერთი იზრდება, შეიძლება რაი-
გამოსტყუო, თუ მასზე გადა-
ყვან ათავიანებს. რომელიც

კვეას ადარიანებს, რომლებიც
ხვაგან ცხოვრობენ, სხვა სამ-
აროს ეკუთვნიან.
ასე გაგრძელდა რვა დღეს.
ხენი მეტისმეტად ბებერი აღ-
მჩნდა, ცხენის პირობაზე დე-
აზე ბევრად უფრო ბებერი,
ამდვილია ასი წლის ბებრუხანა.
ა პატიოსნად ცდილობდა შეეს-
ულებინა, რასაც მისგან მო-
ახოვდნენ და რაც უკვე დიდი
ანი იყო, მის ძალებს აღმატე-
ოდა, მერე კი ფეხები გაფშიკა".
ვიდრე ამ ჩიქოროთული ოპუ-
ს კითხვისას მეც იმ საცოდავი
ხოველის მსგავსი უბედურება
რ მომწევია, ჯობს, აქ შევწყვი-
ო ციტირება და მეითხველს ბო-
იში მოვუხადო, ასეთი ვრცელი
სასუის წაკითხვა რომ ვაიძულე.

უმცა, თავი შემიძლია იმით და-
იმშვიდო, რომ ზოგჯერ ადამი-
ნმა სუსტი თარგმანიც უნდა წა-
კითხოს, რათა მერე კარგი და
ამართული ტექსტი უკეთ შეამჩ-
იოს და დააფასოს. კარგ თარგ-
მანზე ცოტა უფრო ქვემოთ მო-
